

# ინფლაციის, აგფლაციისა და რექსპორტის ქვეყანა

„თბილისის მერია ცდილობს 21-ე საუკუნის თომას ედისონის

ფუნქცია იკისროს“

გაზეთი “ყველა სიახლე” – 8-14 თებერვალი, № 6, 2012 წელი

ჩვენი გაზეთის სტუმარია ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ლადო პაპაია**, რომელიც საქართველოს ეკონომიკის საჭირობოროტო საკითხებზე გვესაუბრება:

– ბატონო ლადო, მკითხველისათვის ალბათ საინტერესოა, როგორ ხდება მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება საქართველოსა და სხვა ქვეყნებში.

– ჯერ ტერმინოლოგიურ საკითხზე მინდა თქვენი ყურადღება გაგამახვილო: ქართულ ენაში 1990-იანი წლებში შეცდომით დამკვიდრდა ტერმინი „მთლიანი შიდა პროდუქტი“, ეს არის კალკი რუსული ტერმინისა „ენუტრენნი ვალოვი პროდუქტ“. სწორია „მთლიანი შიდა პროდუქტი“ იმიტომ, რომ ლაპარაკია ქვეყნის შიგნით და არა „შიდნით“ შექმნილ პროდუქციაზე. ჩემი აზრით, ეს არის ქართული ენის დამახინჯება და სხვა არაფერი. ახლა რას ნიშნავს ეს ტერმინი: ის აღნიშნავს ერთი წლის განმავლობაში ქვეყანაში შექმნილ დამატებულ ღირებულებათა ჯამს. ეკონომისტები, გარდა მთლიანი შიდა პროდუქტისა, იყენებენ მთლიანი ეროვნული პროდუქტის ცნებასაც. ეს, ორი, ერთმანეთისაგან განსახვავებული ცნებაა: მთლიანი შიდა პროდუქტი აჩვენებს მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე შექმნილ დამატებულ ღირებულებათა ჯამს, ხოლო მთლიანი ეროვნული პროდუქტი გვაჩვენებს მოცემული ქვეყნის რეზიდენტების მიერ შექმნილ დამატებულ ღირებულებას. მთლიანი ეროვნული პროდუქტის დათვლა საკმაოდ რთული მექანიზმია და საქართველოს სინადვილეში ასეთი რამ არ ხდება, ამიტომ, როგორც წესი, გამოიყენება მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი, ხოლო საერთაშორისო პრაქტიკაში გამოიყენება ორივე მაჩვენებელი – მთლიანი შიდა პროდუქტიც და მთლიანი ეროვნული პროდუქტიც. ურთულესია მთლიანი შიდა პროდუქტის დათვლის საკითხიც, რადგან აქ ბევრი სხვადასხვა ასპექტი უნდა გაითვალისწინოთ. ასე მაგალითად: დღესდღეობით ჩინეთმა მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობით აშკარად გაუსწრო იაპონიას, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ჩინეთის ეკონომიკა უფრო ძლიერია, ვიდრე

იაპონიისა? – ამ კითხვას რომ პასუხი გაეცეს, ეკონომისტებმა გადაწყვიტეს, რომ მთლიანი შიგა პროდუქტი გაიყოს მოსახლეობის რაოდენობაზე. ამ მაჩვენებელს ჰქვია მთლიანი შიგა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე. აქ კიდევ ერთ ტერმინოლოგიურ შეცდომაზე უნდა გაგამახვილო ყურადღება: დღეს ხშირად გამოიყენება გამოთქმა – “ერთ სულ მოსახლეზე”. თუ დაგაკვირდებით, ეს არის კალკი რუსულიდან – „ნა დუშუ ნასელენია“. მოსახლე არის დასახლებული ოჯახი და ის შეიძლება სულაც არ იყოს ერთსულიანი, ამიტომ, სწორია ვთქვათ „მოსახლეობის ერთ სულზე“ და არა – „ერთ სულ მოსახლეზე“. თუ ამ მაჩვენებლის მიხედვით განვიხილავთ ზემოხსენებულ ქვეყნებს, აღმოჩნდება, რომ ჩინეთის ეკონომიკა სულაც არ არის უფრო ძლიერი, ვიდრე იაპონიისა. რატომ? – როგორც კი გავეყოფთ ჩინეთის მიერ შექმნილ მთლიან შიგა პროდუქტს მოსახლეობის რაოდენობაზე, გამოვა, რომ მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული პროდუქტის მოცულობით იაპონია გაცილებით ძლიერი სახელმწიფოა, ვიდრე ჩინეთი.

**– ცნობილია, რომ საქართველოში მთლიანი შიგა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე გაცილებით ნაკლებია, ვიდრე მოწინავე ქვეყნებში, ხოლო ფასები – საკმაოდ მაღალი.**

– ჩვენთან ეს მაჩვენებელი ნაკლებია მარტო მოწინავე ქვეყნებთან კი არა, მეზობელ ქვეყნებთან შედარებითაც. ის, რომ მთლიანი შიგა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე საქართველოში ნაკლებია, მიუთითებს საქართველოს ეკონომიკის სისუსტეზე, რაც შეეხება ფასების დონეს, ეს ძალზე ბევრი ფაქტორით არის განპირობებული: პირველ რიგში საქართველოს ეკონომიკა არის დეფიციტური ეკონომიკა. ავიღოთ ჩვენი საგარეო-სავაჭრო ბალანსი: იმპორტი 4-ჯერ მეტია ექსპორტზე, 2011 წლის შედეგების შეჯამებისას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ამაცხობდა იმით, რომ წინა წელთან შედარებით ექსპორტი გაიზარდა 39 პროცენტით. ამავე დროს, ხმა არ ამოუღია იმაზე, რომ უარყოფითი საგარეო სავაჭრო სალდოც 32 პროცენტით გაიზარდა, ანუ 1/3-ით გაუარესდა. რაც შეეხება ექსპორტს, ექსპორტის 1/3 მოდის იმაზე, რასაც საქართველო არ აწარმოებს, ან წელს არ უწარმოებია. პირველი ადგილი საექსპორტო პროდუქციაში ავტომობილებს უკავია, მოლით დავფიქრდეთ, საქართველო არის ავტომობილების მწარმოებელი ქვეყანა? – რა თქმა უნდა, არა. სინამდვილეში ეს ექსპორტი კი არ არის, რექსპორტია: საქართველოში შემოდის მანქანები სხვადასხვა ქვეყნიდან – ევროპიდან, ამერიკიდან, იაპონიიდან და შემდეგ გაედინება სომხეთში, აზერბაიჯანსა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში. ამასთან ერთად, თუ ავიღებთ ჯართს, რომელიც ასევე საქართველოდან გაედინება, ეს არის არა მარტო ქართული წარმომავლობის

ჯართი, არამედ აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან წამოსული, რადგან მათ შავი ზღვით რომ გაიტანონ ეს ჯართი, ჯერ საქართველოში უნდა შემოიტანონ. საბოლოო ჯამში კი გამოდის, რომ ჩვენი ექსპორტის თითქმის მესამედი უკავია ავტომობილებს და ჯართს. ეს არის ჩვენი ექსპორტის ზრდა? ამით ამაყოფს საქართველოს პრემიერ-მინისტრი?!

**– 2012 წელს ახალი სამომხმარებლო კალათა მივიღეთ, რომელიც ასევე ძალიან მწირია, თუ სხვა ქვეყნების სამომხმარებლო კალათებს შევადარებთ.**

– საერთოდ, სამომხმარებლო კალათა აჩვენებს, თუ რას ყიდულობს მოსახლეობა თავისი შემოსავლებიდან. ამ კალათის საფუძველზე ხდება ფასების დონის გაანგარიშებაც, ანუ ინფლაციის დონის განსაზღვრა. ყველა ქვეყანას აქვს ისეთი სამომხმარებლო კალათა, რომელიც მისი განვითარების დონეს შეესაბამება, მაგრამ ნებისმიერი ქვეყნის სამომხმარებლო კალათაში არის ცალკე კალათა, რომელსაც სასურსათო კალათა ჰქვია. არა მარტო ჩვენს სამომხმარებლო კალათას, არამედ სურსათის კალათასაც თუ დავაკვირდებით, იქაც სავალალო შემთხვევას ვაწყდებით: მისი 80 პროცენტი არის იმპორტული საქონელი. დღეს მსოფლიოში ადგილი აქვს ისეთ პროცესს, რომელსაც ეკონომისტებმა აფლაცია დაარქვეს. აფლაცია არის მოვლენა, რომელიც აგრარული პროდუქტების გაძვირებას აღნიშნავს. სხვათა შორის, სულ რამდენიმე დღეა გავრცელდა ინფორმაცია, რომ მოსალოდნელია საქართველოში ხორბალი გაძვირდეს. ჩვენთან ხომ ძირითადად იმპორტული ხორბალი გამოიყენება და თუ ის მთელ მსოფლიოში ძვირდება, გაძვირდება საქართველოშიც. რა უწყობს კიდევ საქართველოში ხელს ინფლაციას და აფლაციას? – ის, რომ საქართველოს მთავრობამ აირჩია ქვეყნის ცალმხრივი განვითარების გზა და ეს ცალმხრივობა გამოიხატება მხოლოდ ტურიზმის ხელშეწყობაში. მე ადრეც მითქვამს: ტურისტს, რომელიც ჩამოდის საქართველოში, ესაჭიროება სრულფასოვანი მომსახურება, რომელშიც შედის სულ ცოტა სამჯერადი კვება, ანუ, ქვეყანაში ჩნდება დამატებითი მოთხოვნა კვების პროდუქტებზე. გარდა ჩვენი მოსახლეობისა, ტურისტსაც ხომ სჭირდება კვება? ამ დროს სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლები, სამწუხაროდ, ჩვენ არა ვართ. უფრო მეტიც, სოფლის მეურნეობაში კატასტროფული ვითარება გვაქვს: ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის 57 პროცენტი ცხოვრობს სოფლად და ქმნის მთლიანი შიგა პროდუქტის მხოლოდ 8 პროცენტს. ესე იგი, რა გამოვიდა? – აგრარული სექტორი მოშლილია და ამ დროს ტურიზმის განვითარებას ვუწყობთ ხელს. ასეთ პირობებში შემოსული თითოეული ტურისტი კი აფლაციური პროცესის ხელშემწყობი ხდება. იმისათვის, რომ მათ ნორმალურად მოვემსახუროთ, ქვეყანამ უნდა განახორციელოს

სასურსათო პროდუქტების იმპორტი. სურსათი კი მთელ მსოფლიოში ძვირდება, შესაბამისად მიმდინარეობს ჩვენს ქვეყანაში აგფლაციის იმპორტი, რომელიც საქართველოში არის კომპონენტი სერიოზული აგფლაციური პროცესისა. ასე რომ, საქართველოში სასურსათო კალათა თანდათან ძვირდება, შესაბამისად ძვირდება სამომხმარებლო კალათაც. ამ პროცესს მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ჩვენი მთავრობის არაგონივრულმა პოლიტიკამ.

– ბატონო ლადო, კიდევ რა იგულისხმება „არაგონივრულ პოლიტიკაში“?

– გავიხსენოთ ისეთი მოვლენები, როგორც იყო საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის გაძვირება, ხომ შეეძლო თბილისის მერიას ეს თანხა თავისი ბიუჯეტიდან დაეფარა? მაგრამ არა! – მერიამ გადაწყვიტა, რომ უნდა გადაიხადოს მოსახლეობამ. ამას დაემატა თუნდაც დასუფთავების საფასურის გაზომვა კილოვატ/საათებით, პრაქტიკულად ყველას გაგვეზარდა გადასახდელი თანხა, რადგან ტარიფები გაიზარდა. ახლახან შემოიღეს 20-თეთრიანი ტარიფი ე.წ. 112-ისათვის, ანუ იმ ზარისათვის, რომელიც უმეტესობამ შეიძლება სულაც არ განახორციელოს და ა.შ. მსგავსი მაგალითების ჩამოთვლა ძალზე შორს წაგვიყვანდა. ეს ხომ დამატებითი ხარჯებია, რომლებიც არ შედის სასურსათო კალათაში, მაგრამ შედის სამომხმარებლო კალათაში? ანუ, მთავრობის უგუნური პოლიტიკა ხელს უწყობს სამომხმარებლო კალათის გაძვირებას. საბოლოო ჯამში კი გვაქვს ის, რაც გვაქვს – ინფლაცია, რომლის მაჩვენებლებიც შელამაზებული და შემცირებულია. მოსახლეობა გაიაფებას ვერ გრძნობს, ამ დროს კი ინფლაციის მაჩვენებელი მცირდება. თანაც, მთავრობა სულ ახალ-ახალ საშუალებებს იგონებს, განსაკუთრებით კი – თბილისის მერია, რომელიც მე მგონი, ცდილობს 21-ე საუკუნის თომას ედისონის ფუნქცია იკისროს და გამოიგონოს რაღაც ისეთი, რაც ბუნებაში არ არსებობს. მათ მიერ გატარებული ღონისძიებები კი საბოლოო ჯამში ინფლაციას უწყობს ხელს. ნუ დაგვავიწყდება ისიც, რომ ჩვენ გველის სამი წელი გადაბმული არჩევნებისა, ყველაზე მძიმე მაინც 2012 წელია, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს, ექნება თუ არა სააკაშვილს იმის შესაძლებლობა, რომ პრემიერ-მინისტრი გახდეს, ანუ ექნება თუ არა „ნაციონალურ მოძრაობას“ საპარლამენტო უმრავლესობა. აქედან გამომდინარე, საკმაოდ დიდი ექნება პოპულისტური ხასიათის დანახარჯებიც. სწორედ ამგვარ დანახარჯებს უნდა დავაბრალოთ, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა პრაქტიკულად არ ვითარდება, ხოლო მთლიანი შიგა პროდუქტის მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე კვლავაც დაბალია.

ესაუბრა ხათუნა ჩიგოგიძე